პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
სკკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 20 მარტი, 1943 წ. № 66 (6691). ფასი 20 კაპ.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა ფართოდ გაშალონ რბოლების, ბრიგადების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალისტური შეჯიბრება 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო და საგრაქტორო სამუშაოთა შესრულებისათვის, ჩაბმულ ამ შეჯიბრებაში საკოლმეურნეო სოფლის ახალი ასეულათასობით, მილიონობით მუშაკები და, მოწინავეთა გამოცდილებაზე დაყრდნობით, წინწასწიონ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები და რაიონები, დარაზმონ ყველა ძალები, სოციალისტური შინაგან-მოქმედების ყველა რეზერვები საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის.

„პრავდა“

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტში

1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ ომის დროის ძნელ პირობებში, თავდაცვის საჭიროებისათვის ტრაქტორების, ცხენების, სატრანსპორტო საშუალებათა ნაწილის გამოყენებისას, აგრეთვე სოფლის მეურნეობიდან კვალიფიციური მუშაკების მნიშვნელოვანი ნაწილის წითელ არმიაში მობილიზების პირობებში — კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით ჩაატარეს საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვა და მნიშვნელოვნად გაადიდეს ძირითადი სასურსათო კულტურების—მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და შაქრის ჭარხლის ნათესები. 1942 წელს აღმოსავლეთში ახლად შექმნილია შაქრის ჭარხლის, აბუსალათინის, წეკოს და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოების დიდი ბაზები.

კარგად გაართვეს თავი მინდვრის სამუშაოებს გორკის, სვერდლოვსკის, მოლოტოვის, მოსკოვის, ივანოვოს, იაროსლავლის, კალინინის, ტულის, რიაზანის, ვოლოგდის ოლქების, ჩუვაშეთის, უდმურტეთის ასს რესპუბლიკების, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, საქართველოსა და სომხეთის სს რესპუბლიკების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ჩამოთვლილი ოლქებისა და რესპუბლიკების კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უფრო შემჭიდროებულ ვადებში ჩაატარეს საგაზაფხულო თესვა, თავის დროზე მოხნეს და დაამუშავეს ანეული, გაადართოვეს საშემოდგომო ნათესთა ზოლი და მზრალად მოხნეს მნიშვნელოვანი ფართობები. ამ ოლქებსა და რესპუბლიკებში სხვებზე უკეთესად სრულდება აგრეთვე სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სელის ჩაბარების გეგმები.

კოლმეურნეობებში განმტკიცდა შრომის დისციპლინა, კოლმეურნეები უკეთესად ასრულებდნენ გამომუშავების ნორმებს და მნიშვნელოვნად შემცირდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომელთაც არ გამოუმუშავებიათ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. 1942 წელს კოლმეურნეობებში უკეთესად იყენებდნენ მინდვრის სამუშაოებში ცოცხალ გამწევ ძალასა და ცხენის ინვენტარს.

ამასთან ერთად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ პენზის, სარატოვის, კუიბიშევის, ჩკალოვის, ჩელიაბინსკის, ომსკის, კუსტანაისა და ჩრდილო-ყაზახეთის ოლქების, ალტაის მხარის, თათრეთისა და ბაშკირეთის ასს რესპუბლიკების კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების არადამაკმაყოფილებელ მუშაობას სოფლის მეურნეობაში 1942 წელს ძირითად დავალებათა შესრულების საქმეში. აღნიშნული ოლქებისა და რესპუბლიკების ბევრმა კოლმეურნეობამ, მტს-მა და საბჭოთა მეურნეობამ, შეასრულა რა საგაზაფხულო და საშემოდგომო კულტურების თესვის რაოდენობრივი დავალება, დაუშვა თესვისწინა დამუშავების დაბალი ხარისხი, გააჭიანურა თესვის ვადები და მივიწყო მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის საქმე.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ყველა კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის, რაიონული, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური საბჭოთა, პარტიული და სამეწარმოქმედო ორგანოების ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ 1943 წელს მთავარი ყურადღება მოსავლიანობის ამაღლებისათვის და მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო მოსავლის გადიდებისათვის ბრძოლაში უნდა მიექცეს მინდვრის სამუშაოთა ხარისხის ამაღლებას, საგაზაფხულო თესვის შემჭიდროებულ ვადებში ჩატარებას, ხვნის, თესვისწინა დამუშავებისა და დათესვის უკეთეს ხარისხს, ადგილობრივ სასუქთა ყველა სახის სრულ გამოყენებას, სარეველა ბალახებთან და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარებას.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის 1943 წლის მოსავლის სათესი ფართობი დაამტკიცეს 6,4 მილიონი ჰექტარის გადიდებით 1942 წლის მოსავლის ასაღებ ფართობთან შედარებით, მათს რიცხვში მარცვლეული კულტურების ნახნავი გადიდება უდრის 3,9 მილიონ ჰექტარს 1942 წელთან შედარებით, აგრეთვე დამტკიცეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა 1943 წლისათვის, საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა 1944 წლის მოსავლისათვის, მარცვლეული, ტექნიკური კულტურებისა და კარტოფილის მოსავლიანობის გეგმა, მტს-ების სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა.

1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

I. საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მომზადების შესახებ

1. დავალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, პარტიის საოლქო კომიტეტებსა და სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს:

ა) ამა დადგენილებით დაწესებული მარცვლეულ კულტურათა საშუალო მოსავლიანობის საფუძველზე დაამტკიცონ დავალებანი ცალკეული მარცვლეული კულტურების მოსავლიანობისათვის, აგრეთვე დავალებანი ტექნიკური, ბოსტნეული, ბაღჩეული, საკვები და ხილ-კენკრის კულტურების მოსავლიანობისათვის, რომელთათვისაც მოსავლიანობა ამ დადგენილებით არ არის გათვალისწინებული;

ბ) დაამტკიცონ და დაიყვანონ რაიონებამდე და კოლმეურნეობებამდე კვალსათბურებისა და სათბურების მოწყობისა და ახალი მშენებლობის, ტყის გაშენების სამუშაოთა, მეთუთეობის, ხილ-კენკრის, ვენახებისა და სუბტროპიკულ ნარგავთა გაშენების და სანერგეთა მოწყობის გეგმა, აგრეთვე მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა;

გ) დაწესონ რაიონებისა და კოლმეურნეობებისათვის დავალებანი სათესი ფართობებისა და მოსავლიანობისა სარწყავ მიწებზე, ამასთან უზრუნველჰყონ სარწყავი მიწების სრული გამოყენება დასათესად.

3. დავალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, პარტიის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს:

ა) ათი დღის ვადაში უზრუნველჰყონ კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმების, მტს-ების სამრეწველო-საფინანსო გეგმების შედგენა და მტს-ების ხელშეკრულებათა დადება კოლმეურნეობებთან;

ბ) იმავე ვადაში ჩაატარონ საწარმოო ბრიგადებისა და რგოლების დამტკიცითი დაკომპლექტება კოლმეურნეობებში, ახალი ბრიგადებისა და რგოლების მოწყობა იქ, სადაც ისინი დაიშალნენ, ამასთან მინიმუმამდე შეამცირონ აღმინისტრატიულ და მომსახურებითს სამუშაოზე მყოფ კოლმეურნეთა რიცხვი. შეამოწმონ ბრიგადებზე ნაკვეთების, ინვენტარისა და გამწევი ძალის მიმაგრება, ამასთან აღმოფხვრან გაუპიროვნება გამწევ ძალასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობისას. შეადგინონ და დამტკიცონ საგაზაფხულო სამუშაოთა სამუშაო გეგმები სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადებისათვის, გაითვალისწინონ ამ გეგმებში ცალკეულ სამუშაოთა ჩატარების ვადები, კოლმეურნეების, ტრაქტორებისა და ცოცხალი გამწევი ძალის განაწილება ცალკეულ მინდვრის ნაკვეთებსა და სამუშაოებზე;

გ) უზრუნველჰყონ რგოლებზე ტექნიკური, ბოსტნეული კულტურების, სიმინდის, კარტოფილისა და სხვა სათოხნი კულტურების სათესი ფართობების მიმაგრება ისე, რომ ყოველ რგოლზე, როგორც წესი, მიმაგრებული იყოს სულ ბევრი 3-4 კულტურა, ვადით არა უმცირეს ერთი წლისა;

დ) ფართოდ მოაწყონ რგოლების, ბრიგადების, კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონების სოციალისტური შეჯიბრება 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო და სატრაქტორო სამუშაოთა გეგმის შესასრულებლად და ჩაატარონ არა უგვიანეს, ვიდრე ორი კვირით ადრე მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე, საგაზაფხულო თესვისათვის მათი მზადყოფნის ურთიერთშემოწმება;

ე) უზრუნველჰყონ თითოეულ კოლმეურნეობაში არა უგვიანეს, ვიდრე ათი დღით ადრე მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე, საბავშვო ბაღების, საბავშვო მოედნების, მინდვრის ბანაკებისა და საზოგადოებრივი ჯვების მოწყობა, გამოჰყონ და მოამზადონ ამისათვის კადრები, სადგომები და მოწყობილობა;

ვ) ჩაატარონ რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით საგაზაფხულო თესვისათვის მოსამზადებელ ღონისძიებათა შესრულების სისტემატური შემოწმება. არა უგვიანეს 1943 წლის 5 აპრილისა მოახსენონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის საგაზაფხულო თესვისათვის ოლქის, მხარისა თუ რესპუბლიკის მზადყოფნის შესახებ, ამასთან ასეთივე ანგარიშები მოსთხოვონ რაიაღმასკომებს 1943 წლის 30 მარტისათვის.

4. „1943 წლის მინდვრის სამუშაოებისათვის მტს-ების ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომზადების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 27 თებერვლის დადგენილების მე-15 მუხლის დასამატებლად, დაწესდეს, რომ მტს-ების ტრაქტორისტები, რომლებმაც გაზგენერატორულ სხტზ ტრაქტორზე 15 კალენდარულ დღეში ხვნის, ფარცვის, კულტივაციისა და თესვისას თავიანთ ცვლაში, რბილ ხვნაზე გადაყვანით, დაამუშავეს არანაკლებ 30 ჰექტარისა, პრემიას იღებენ 35 შრომადღის რაოდენობით; გარდა ამისა, მტს-ების ტრაქტორისტები დამატებით იღებენ თითო შრომადღეს ამავე ვადაში 30 ჰექტარის გადამეტებით დამუშავებული ყოველი ჰექტარისათვის.

დაწესდეს გამომუშავების ცვლის ნორმები სხტზ გაზგენერატორულ თვლიან ტრაქტორებზე 25 პროცენტით ნაკლები იმ ნორმებზე, რომლებიც მოქმედებენ სხტზ თხიერსათბობიანი ტრაქტორებისათვის.

5. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს გამოჰყონ ფონდები მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების გაზგენერატორული ტრაქტორებისათვის მათთან უფრო ახლოს მდებარე ტყის უბნებიდან.

6. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 27 მარტის № 701 დადგენილების შესაცვლელად, შემცირებულ იქნას 1943 წლისათვის ტრაქტორებისა და კომბაინების მუშაობის სარემონტო-საშორისო ვადები და გადიდებულ იქნას ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისათვის გადარიცხვათა ნორმები საშუალოდ 20 პროცენტით.

ნება დაერთოს სსრ კავშირის მიწსახკომს დაწესოს, ამ ცვლილებათა გათვალისწინებით, ტრაქტორებისა და კომბაინების მუშაობის დიფერენცირებული სარემონტთაშორისო ვადები, აგრეთვე ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისათვის გადარიცხვების გადიდებული ნორმები ცალკეულ ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში.

7. დავალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის სახკომის მეურნეობების სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს, ადგილობრივ სამიწათმოქმედო ორგანოებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს:

ა) საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა დაწყებისათვის დაამზადონ გასამართავი ურმების ის რაოდენობა, რომელიც მათ აკლიათ, მოაწყონ ისინი საწვავის კასრებით, ტუმბოებით და მცირე გასამართავი ინვენტარით. გაამზადონ და დააკომპლექტონ ტრაქტორები და სატრაქტორო ბრიგადები საჭირო ინსტრუმენტებითა და მოწყობილობით ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების ტექნიკური მოვლის ჩასატარებლად;

ბ) მოაწყონ 1943 წლის განმავლობაში ყველა მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში ტრაქტორისტების, კომბაინერებისა და ბრიგადირების ტექნიკური სწავლება მათი ტექნიკური ცოდნის ასამაღლებლად;

გ) მოაწყონ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა დასაწყისისათვის მტს-ებში მოძრავი სახელოსნოები ავტომანქანებსა და ცოცხალ გამწევ ძალაზე სატრაქტორო ბრიგადების ტექნიკური მომსახურებისათვის, დაკომპლექტონ მოძრავი სახელოსნოები საჭირო მოწყობილობით, ინვენტარითა და ხელსაწყოებით და მიამაგრონ ისინი საუბნო მექანიკოსებს ვარაუდით ერთი მოძრავი სახელოსნო 20 ტრაქტორზე.

რჩევა მიეცეთ მტს-ებსა და კოლმეურნეობებს ხელშეკრულებათა დადებისას გაითვალისწინონ კოლმეურნეობის ცხენის გამოყოფა მოძრავი სახელოსნოსათვის.

8. მოწონებულ იქნას სატრაქტორო ბრიგადებისა და კოლმეურნეობების, მოწინავე მტს-ების ინიციატივა ადგილობრივი მასალებისაგან სატრაქტორო ბრიგადებში ტრაქტორისტთა და კოლმეურნეობათა ძალებით უმარტივესი სახელოსნოების — ფარდულების აგებისა ტრაქტორების ტექნიკური მოვლის ჩასატარებლად და უმარტივესი საველე სარდაფების აგებისა ბრიგადაში საწვავის შესანახავად.

წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მიწსახკომს, რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს, ადგილობრივ სამიწათმოქმედო ორგანოებსა და მტს-ების დირექტორებს 1943 წელს მოაწყონ უმარტივესი სახელოსნოების — ფარდულების გაკეთება და უმარტივესი საველე სარდაფების აგება სატრაქტორო ბრიგადებში.

9. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს, ადგილობრივ სამიწათმოქმედო ორგანოებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

გავრცელდეს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებზე საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა პერიოდში ტრაქტორისტების ნატურალური პრემირების პირობები გამომუშავების დღიური ნორმების შესრულებისათვის, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 22 სექტემბრის № 1570 დადგენილების მე-14 მუხლით.

12. აკრძალულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ნებადაურთველად ტრაქტორების გამოყენება 1943 წლის 1 აპრილიდან სატრანსპორტო და სხვა სამუშაოებზე, გარდა საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისათვის საწვავის მიტანისა, აგრეთვე პურის გამოტანისა შორეული პუნქტებიდან.

13. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობათა ცხენების მობილიზაცია შეიძლება სწარმოებდეს მხოლოდ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით.

14. დაწესდეს, რომ ერთ მუშა ცხენზე ან უღელ ხარზე კოლმეურნეობებში საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა პერიოდში გამომუშავებულ უნდა იქნას ჰექტარების არანაკლებ შემდეგი რაოდენობისა (ყველა საგაზაფხულო სამუშაოს ხვნაზე გადაყვანით):

10 ჰექტარი—ალტაის, ხაბაროვსკის, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებისათვის, კემეროვოს, კურგანის, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ჩელიაბინსკის, ჩკალოვის, კუიბიშევის, ულიანოვსკის, სარატოვის, ტამბოვის, პენზის, როსტოვის, სტალინგრადის, ვორონეჟის, კურსკის, ორიოლის, ტულის, რიაზანის ოლქებისათვის, ბაშკირეთის, თათრეთის, ყალმუხთა და მორდვეთის ასს რესპუბლიკებისათვის;

9 ჰექტარი—უყზახეთის სს რესპუბლიკის, ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკის, გორკის, ივანოვოს, იაროსლავლის ოლქებისა და კრასნოიარსკის მხარისათვის;

8 ჰექტარი—კიროვის, მოლოტოვის, მოსკოვის, სმოლენსკის, კალინინის, ლენინგრადის ოლქების, უდმურტეთის, ყაბარდო-ბალყარეთისა და მარეთის ასს რესპუბლიკებისათვის;

7 ჰექტარი—ჩიტის, ირკუტსკის ოლქების, პრიმორიეს მხარისათვის;

6 ჰექტარი—არხანგელსკის, ვოლოგდის, სვერდლოვსკის ოლქების, ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის სს რესპუბლიკებისათვის;

5 ჰექტარი—იაკუტიის, კომის, დაღისტნის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკების, კარელია-ფინეთის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებისათვის.

15. დაევალოთ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საოლქო და სამხარეო აღმასკომებს:

ა) უზრუნველჰყონ მინდვრის სამუშაოებზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცოცხალი გამწევი ძალის სრული გამოყენება, შეამცირონ ცხენებისა და ხარების გამოყენება შინასამეურნეო სამუშაოებზე;

ბ) დაიყვანონ თითოეულ რაიონამდე საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა პერიოდისათვის გამომუშავება თითო ცხენსა და უღელ ხარზე მინდვრის სამუშაოთა მოცულობის, გამწევი ძალით უზრუნველყოფის და საგაზაფხულო სამუშაოთათვის დაწესებული ვადების მიხედვით;

გ) მიიღონ ზომები, რათა კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მუშა საქონელი საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა პერიოდში უზრუნველყოფილ იქნას საჭირო რაოდენობის თივით, კონცენტრირებული და სხვა საკვებით;

დ) გაათავისუფლონ არა უგვიანეს, ვიდრე ერთი თვით ადრე საგაზაფხულო თესვამდე, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საჭაპანო შრომის ბეგარის შესრულებისაგან, ამასთან ცხენები და ხარები არა უგვიანეს 3 კვირისა მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე დააყენონ გაძლიერებულ კვებაზე და დასასვენებლად;

ე) დაამტკიცონ რაიონების მიხედვით კოლმეურნეობებში ნაკლებ პროდუქტიული ძროხების მინდვრისა და სატრანსპორტო მუშაობაში ჩაბმის გეგმა საზოგადოებრივი ჯოგისა და კოლმეურნეთა პირადი სარგებლობის ძროხების ხარჯზე, ამასთან მხედველობაში მიიღონ თითოეული კოლმეურნეობის მოთხოვნილება ცოცხალი გამწევი ძალის მხრივ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა შესასრულებლად ნორმალურ ვადებში. რაიაღმასკომებმა თითოეულ კოლმეურნეობამდე ცალ-ცალკე დაიყვანონ გეგმა მინდვრის სამუშაოებზე ძროხების გამოყენებისა საზოგადოებრივი ჯოგის და კოლმეურნეთა ძროხების ხარჯზე.

16. ძროხების შერჩევისა და მინდვრის სამუშაოებზე მათი გამოყენებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს და რაიონებისა და კოლმეურნეობების ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკებს. გამოყოფილი ძროხები საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა დროისათვის საზოგადოებრივი ჯოგიდან გადაეცეთ მემინდვრეობის ბრიგადებს ბრიგადირის პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ. მემინდვრეობის ბრიგადებში გადაცემული ყველა ძროხა მიმაგრებულ იქნას ამ ბრიგადების კოლმეურნეებზე, აგრეთვე მწველელებზე ძროხების მომსახურებისათვის და იმისათვის, რომ ეს ძროხები ამუშაონ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა დამთავრებამდე, ამასთან არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან გაუპიროვნება ძროხების მოვლასა და სამუშაოზე მათს გამოყენებაში. დაწესდეს, რომ კოლმეურნეთა გამოყოფილი ძროხები, როგორც წესი, უნდა ამუშაონ იმ კოლმეურნეებმა, რომელთაც ეს ძროხები ეკუთვნით. რეკომენდებულ იქნას ძროხების გამოყენება უფრო მსუბუქ სამუშაოზე და ახლო მანძილზე. ძროხებით მუშაობისას გამოყენებულ იქნას მხოლოდ რბილი აკაზმულობა. აიკრძალოს მინდვრის სამუშაოებზე ჯიშიანი ძროხების გამოყენება.

17. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) კოლმეურნეობაში ძროხებით მომუშავე კოლმეურნეთათვის დაწესონ გამომუშავების ნორმები იმ ნორმების ერთი მესამედის რაოდენობით, რომლებიც კოლმეურნეობის მიერ მიღებულია ცხენით შესრულებული ასეთივე მუშაობისათვის, ამასთან არ შეამცირონ სანარდო განაკვეთები. იმ კოლმეურნეებს, რომელნიც კოლმეურნეობაში თავიანთი ძროხებით მუშაობენ, გამომუშავების ნორმების შესრულებისას შრომადღეები დაერიცხოთ ორმაგად;

ბ) საზოგადოებრივ მეურნეობაში კოლმეურნეთა ძროხების მუშაობის ყველა დღისათვის ფურაჟი გაიცეს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი საქონლისათვის მიღებული ნორმების მიხედვით.

18. დავალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, პარტიის საოლქო კომიტეტებსა და სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს:

ა) უზრუნველჰყონ სრული შენახვა 1943 წლის საგაზაფხულო თესვისათვის მარცვლეული და ტექნიკური კულტურების, კარტოფილისა და საკვები კულტურების მთელი თესლისა ანუ უგვიანეს 1943 წლის 1 აპრილისა, დაწესონ გულდასმითი და სისტემატური კონტროლი მათი ხარისხისა და შენახვისადმი, აგრეთვე უზრუნველჰყონ დამზადება და შენახვა საბოსტნე კულტურების თესლისა; არ დაუშვან თესლის შენახვა იმ მარცვლისა და ზეთოვანი კულტურების თესლის ხარჯზე, რომლებიც სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს;

ბ) მოაწყონ კოლმეურნეობებს შორის სუსტი აღმოცენების მარცვლის გადაცვლა კეთილხარისხოვან თესლზე სათანადო ფასდამატებით;

გ) უზრუნველჰყონ ყველა სათესლე ფონდის მიღება ყოველ კოლმეურნეობაში მეკუჭნავის მიერ განსაკუთრებული აქტით, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს თითოეული კულტურის სათესლე ფონდების რაოდენობა და ხარისხი, აგრეთვე მათი ჯიშები;

დ) უზრუნველჰყონ კოლმეურნეობათა შორის ანგარიშსწორება 1942 წელს სესხის სახით მიღებულ თესლზე, დაავალონ კოლმეურნეობებს, რომლებმაც სხვა კოლმეურნეობებისაგან სესხად მიიღეს თესლი, დაუყოვნებლივ დააბრუნონ იგი სახელმწიფოს წინაშე თავის ვალდებულებათა შესრულების შემდეგ ან ურთიერთშეთანხმებით გადაიხადონ ფულად და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებით;

ე) მოაწყონ ნებაყოფლობითს საფუძვლებზე კოლმეურნეობებს შორის თესლით ურთიერთდახმარება 1943 წელს, ამასთან დაწესონ, რომ ურთიერთდახმარების წესით თესლის მიმღები კოლმეურნეობანი ვალდებულნი არიან გასცენ წერილობითი ვალდებულება ნასესხები თესლის 1943 წლის მოსავლიდან დაბრუნების შესახებ. დაწესდეს, რომ ამ ვალდებულებებით კოლმეურნეობებს უფლება აქვთ სესხად გაცემული თესლი აინაზღაურონ უდავო წესით აღებული მოსავლის იმ ნაწილიდან, რომელიც კოლმეურნეობას დარჩება სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულების შემდეგ;

ვ) ნება დაერთოს დამზადებათა სახალხო კომისარიატს მიიღოს კოლმეურნეობებისაგან გასასყიდად და სხვა კოლმეურნეობათათვის სასესხებლად გამოყოფილი თესლი ერთს დამამზადებელ პუნქტებში და მისცეს იგი კოლმეურნეობებს სხვა პუნქტებში;

ზ) უზრუნველჰყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათესლე ფონდების მდგომარეობისა და შენახვის პირობების მთლიანი შემოწმების ჩატარება, დაუყოვნებლივ აღმოფხვრან გამოვლინებული ნაკლოვანებანი და სასამართლო პასუხისგებაში მისცენ სათესლე ფონდების გაფუჭებასა და უყაირათო შენახვაში დამნაშავე პირნი;

თ) ჩაატარონ მარცვლეული, მარცვალ-პარკოსანი, ტექნიკური კულტურებისა და ბალახების თესლების სრული გაწმენდა, დახარისხება და დაწესებულ სტანდარტებამდე დაყვანა 1943 წლის 10 აპრილისათვის, გამოჰყონ ყოველ კოლმეურნეობაში მარცვალსაწმენდი მანქანების საჭირო რაოდენობა და მთლიანად გამოიყენონ მტს-ების, სახჯიშფონდის, „ზაგოტზერნოს“ და სხვა ორგანიზაციების რთული მარცვალსაწმენდი მანქანები და მათი მუშაობა ჩაატარონ ორ ცვლად;

ი) თავის დროზე და მთლიანად დაამთავრონ ხორბლის, ქერის, შვრიის, ფეტვის, სელისა და ბამბის თესლის შეწამლვა და შესაწამლავად გამოიყენონ შემოწმებული შემცვლელები;

კ) შეამოწმონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თესლის ხარისხი აღმოცენების უნარის, ტენიანობის, დანაგვიანებისა და ავადმყოფობებითა და მავნებლებით დაავადების მხრივ;

ლ) აღმოცენების უნარის მხრივ არაკონდიციური თესლის სიცოცხლისუნარიანობის შემთხვევაში დამუშავებულ იქნას იგი ადრე გაზაფხულზე განიავებისა და ჰაერით გათბობის გზით თხელ ფენად აკადემიკოს ლისენკოს მეთოდით და შემდეგ შემოწმებულ იქნას აღმოცენების უნარის მხრივ თესლსაკონტროლო ლაბორატორიებში;

მ) იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც აქვთ ჭარბი ტენიანობის თესლი, მოაწყონ მისი გაშრობა მარცვლსაშრობებში და ამ მიზნისათვის მოწყობილ სადგომებში გაშრობის რეჟიმის სასტიკად დაცვით;

ნ) უზრუნველჰყონ სათესლე კარტოფილის შენახვა 1943 წელს მთელი მისი სათესი ფართობისათვის და თესლის ნაკლებობისას მოაწყონ მისი ყიდვა ან სესხება კოლმეურნეობების მიერ კოლმეურნეთაგან. დაევალოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჩაატარონ სათესლე კარტოფილის, აგრეთვე კარტოფილის დამზადებული წვეროების შენახვის პირობებისა და ხარისხის სისტემატური შემოწმება;

ო) დაამთავრონ არა უგვიანეს 1943 წლის 1 აპრილისა „სორტსემოვოშჩის“ კანტორების მიერ დაკონტრაქტებული ბოსტნეული კულტურებისა და საკვები ძირხვენა მცენარეების თესლეულის დამზადება;

პ) იმ კოლმეურნეობებში, რომლებმაც არ შეასრულეს სათესლეების გაშენების გეგმა, დამატებით იქნას გადარჩეული და გაშენდეს თესლეულის ფესვები სასურსათო და საფურაჟო მარაგიდან იმ რაოდენობით, რომ 1943 წლის გაზაფხულზე უზრუნველყოფილ იქნას შესრულება თესლეულის ფესვების გადარგვის გეგმისა, რომელიც დაწესებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 19 სექტემბრის № 1562 დადგენილებით; მთლიანად იქნას დაცული გაშენებული სათესლეები და არ იქნას დაშვებული მათი განიავება და გაფუჭება შენახვისას.

19. უფლება მიეცეს დამზადებათა სახალხო კომისარიატს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების, სამხარეო აღმასრულებელი კომიტეტებისა და რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების შუამ

1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ

(დასასრული)

და ბოსტნეული კულტურების ნათესებში, აგრეთვე საშემოდგომო ნათესების ანეულში;

ბ) უზრუნველჰყონ საშემოდგომო ნათესების, შაქრის ჭარხლის, ბამბის, კოქ-საგიზის, კანაფის, ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის ნათესების საგაზაფხულო განყოიერება ადგილობრივი სასუქებით;

გ) გამოჰყონ თითოეულ ბრიგადაში მუდმივი კოლმეურნენი სასუქების შესაგროვებლად და გასაზიდად, ამასთან დაუწესონ მათ გაზიდვის დღიური დავალებანი, აგრეთვე მიამაგრონ მათ მუშა ცხენები და ხარები სასუქების გაზიდვის მთელი დროის ვადით, ფართოდ იქნას გამოყენებული სასუქების გასაზიდად საზოგადოებრივი ჯოგისა და კოლმეურნეთა პირადი სარგებლობის ძროხები;

დ) უზრუნველყოფილ იქნას თითოეულ კოლმეურნეობაში ფეკალების, ნაცრის, ფრინველის ნაკელის, მპალას შეგროვება სასუქად, აგრეთვე ნაკელისა და სხვა სასუქების წესიერი შენახვა. მოეწყოს მრეწველობის ნარჩენისა და ქალაქების საყოფაცხოვრებო ნაყარის სასუქად გამოყენება, ამასთან დახმარება გაეწიოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ქალაქის ტრანსპორტით ამ სასუქების გასაზიდად;

ე) მოეწყოს ტორფის საბადოების ძახლობლად მდებარე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტორფის კომპოსტირება ნაკელთან, ნაკელის წვენთან, ფეკალებთან და სხვა ნაყართან, აგრეთვე ტორფის ფართოდ გამოყენება საქონლისათვის დასაფენად;

ვ) უზრუნველჰყონ ბაქტერიული სასუქების სრული და წესიერი გამოყენება, რისთვისაც დაუწესონ კოლმეურნეობებს მათი ჭეტანის კონკრეტული დავალებანი.

22. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) დაურიცხონ წასახალისებლად ერთდროულად 10-დან 30-მდე შრომადღე მეცხოველეობის ფერმის გამგეს და უფროს მეჯინიბეს, რომელთაც უზრუნველჰყვეს მაქსიმალური დაგროვება, წესიერი შენახვა და მთელი დაგროვებული ნაკელის თავის დროზე გატანა მინდვრად. შრომადღეები დარიცხულ იქნას იმის შემდეგ, როცა ნაკელი გაზიდულ იქნება მინდვრებში;

ბ) გასცენ ჩალა და ტორფი საქონლისათვის დასაფენად და მისცენ ნაკელის გასაზიდად და საფენის მისაზიდად ტრანსპორტი კოლმეურნეებს, რომელნიც პატივს აბარებენ საზოგადოებრივი მიზნებისათვის.

23. წინადადება მიეცეთ იმ კოლმეურნეობებს, რომლებშიც თესლბრუნვა დაწესებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ათვისებული, დააზუსტონ თესლბრუნვაზე გადასვლის გეგმები 1943 წლისათვის მიცემულ თესვის დავალებათა საფუძველზე, ამასთან უზრუნველჰყონ კულტურების წესიერი განლაგება წინა კულტურების მიხედვით. იმ კოლმეურნეობებში, სადაც თესლბრუნვა ჯერ არ არის შემოღებული, თესვის 1943 წლის დავალებანი ისე იქნას განლაგებული, რომ გათვალისწინებული იყოს წინა კულტურების საუკეთესოდ გამოყენება.

24. დაევალოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საოლქო და სამხარეო აღმასრულებელ კომიტეტებს დაუწესონ სოფლის მეურნეობის კულტურათა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გეგმა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მავნე კუს, კალიის, შაქრის ჭარხლისა და ბამბის მავნებლების, აგრეთვე თაგვისმაგვარ მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლას.

II. 1943 წლის საგაზაფხულო თესვისას აგროტექნიკურ ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სთვლიან, რომ 1943 წლის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა პერიოდში უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა უნდა იყოს მინდვრის სამუშაოთა მაღალი ხარისხი და საგაზაფხულო თესვის ჩატარება თითოეული კულტურისათვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში, რისთვისაც საჭიროა:

1. საგაზაფხულო მიხდვრის სამუშაოთა დაწყების წინ უზრუნველყოფილ იქნას თითოეულ კოლმეურნეობაში მინდვრების გაწმენდა ჩალისა, სარეველა ბალახების ღეროებისა და ნაწვერალის ნარჩენისაგან, საჭიროების შემთხვევაში დაიწვას ნაწვერალი და სარეველა ბალახები ისე, რომ დაცულ იქნას ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებანი.

2. მოეწყოს გულმოდგინე მეთვალყურეობა ადრეული გაზაფხულის პერიოდში ნიადაგის მოსწრებაზე ისე, რომ დაშვებული არ იქნას მინდვრის სამუშაოთა დაწყების დაგვიანება, განსაკუთრებით საგაზაფხულო ხვნის დაწყება, რაც ნიადაგის მდგომარეობის კვალობაზე, მთელ რიგ შემთხვევებში შეიძლება დაწყებულ იქნას მინდვრის სხვა სამუშაოებზე ადრე.

მინდვრის სამუშაოები (ფარცხვა, ხვნა, კულტივაცია, თესვა) დაიწყოს გამორჩევით, ცალკეული ნაკვეთების გაშრობის მიხედვით, მთელი მასივის მზადყოფნის დაუცდელად.

3. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მზრალად მოხნულის ადრეული ფარცხვის თავის დროზე ჩატარებას და ჩატარდეს იგი არა უგვიანეს სამი-ხუთი დღისა თხემების გაშრობის მომენტიდან.

არ იქნას დაშვებული საგაზაფხულო ხვნისა და ფარცხვის ერთმანეთისაგან მოწყვეტა.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებსა და მტს-ებს ფართოდ გამოიყენონ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა აგრეგატული ხერხები (ხვნა და ფარცხვა,მზრალად მოხნულის კულტივაცია და ფარცხვა, თესვა და დატკეპნა, მზრალად მოხნულის კულტივაცია-ფარცხვა-თესვა, ხვნა-ფარცხვა-თესვა), ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნიადაგის დამუშავებისა და თესლის ჩათესვის კარგ ხარისხს.

ხვნა-თესვის აგრეგატები მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებზე დაშვებულ იქნას მხოლოდ მინდვრის 10-12 სანტიმეტრზე ხვნისას ხვნისწინა აოშვის შემდეგ და მზრალადმოხნულის არაღრმა ხელახალ ხვნაზე.

4. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობათა გამგეობებს გაიანგარიშონ, თუ რამდენ სამუშაო და კალენდარულ დღეში ჩატარდება მოცემულ კოლმეურნეობაში მინდვრის ყველა საგაზაფხულო სამუშაო, მათ შორის საგაზაფხულო ხვნა, იმ ვარაუდით, რომ ადრეული და საგვიანო კულტურები დაითესოს თითოეული კოლმეურნეობის პირობებში შესაძლო ვადებს შორის უკეთეს ვადებში, ამასთან ნიადაგში ტენი მაქსიმალურად უნდა იქნას შენახული და რაც შეიძლება კარგად იქნას მოსპობილი სარეველები სუფთა ნათესების მისაღებად.

მინდვრების დასარევლიანებასთან ბრძოლის, გვალვიანი და ნახევრადგვალვიანი რაიონების ნიადაგში ტენის დაგროვებისა და შენახვის და თესვის მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში ჩატარების მიზნით რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს ყველა ნაკვეთი, რომლებიც კი გაანგარიშების თანახმად არ შეიძლება დახნულ იქნას ნორმალურ სიღრმეზე სამხრეთ-აღმოსავლეთის გვალვიან რაიონებში პირველ შვიდ დღეს, ხოლო ურალის, ციმბირისა და ჩრდილოეთ ყაზახეთის ნახევრადგვალვიან რაიონებში—პირველ ათ დღეს მინდვრის სამუშაოთა დაწყებიდან—ააოშონ ან გააფხვიერონ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა პირველ სამ-ხუთ დღეში დაახლოებით 5 სანტიმეტრ სიღრმეზე.

ასეთ წინასწარ აოშებულ მინდვრებში, თუ ისინი დასარევლიანებული არ არიან ფესურიანი, ფესვითნაყარი სარეველებით, ხოლო ერთწლიანი სარეველები (გარეული შვრია და სხვ.) უკვე აღმოცენდა, — დაშვებულ იქნას ხვნა 10-12 სანტიმეტრ სიღრმეზე ბელტის კარგად გადაბრუნებით და უხარვეზოდ, ამასთან ფარცხვა ჩატარდეს ხვნის მიყოლებით.

ის მინდვრები, რომლებიც დასარევლიანებულია ფესურიანი და ფესვითნაყარი სარეველებით (ჭანგათი, ღიჭით და სხვ.), დაიხნას გაზაფხულს ნორმალურ სიღრმეზე, თუნდაც ეს მინდვრები ტენის შენარჩუნების მიზნით აოშებულიც იყოს ადრეულ გაზაფხულზე.

ფეტვის დასათესად განკუთვნილ მინდვრებში, თუ ისინი მზრალად არ ყოფილან დახნული, ადრეული აოშების (ტენის შენარჩუნება) და ხვნის გარდა, მინდვრის სამუშაოთა დაწყებიდან არა უგვიანეს 10-15 დღისა ჩატარდეს კულტივაცია (სარეველების აღმოცენების შემდეგ) თათებიანი კულტივატორებით, რომლებიც არ აშრობენ ნიადაგს.

5. იმისათვის, რომ სწრაფად ჩატარდეს ნიადაგის ადრეული საგაზაფხულო ხვნისწინა აოშება ან გაფხვიერება, რაც ინარჩუნებს ტენს და აჩქარებს სარეველების აღმოცენებას, წინადადება მიეცეს რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, საოლქო, სამხარეო აღმასკომებს მიიღონ ზომები, რომ კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილ იქნან განიერი სატრაქტორო და საცხენე ნიადაგდამუშავებელი იარაღებით (ამაოშებლებით, დისკოიანი ფარცხებით, სახრბლე გუთნებით, თათებიანი ფარცხებით და სხვ.).

დაწესდეს კონკრეტული დავალებანი ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებისა, მტს-ებისა, მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოებისა და კოლმეურნეობების სამეჯლოებისათვის სათანადო განიერი იარაღების (თათებიანი ფარცხები, ფარცხები და სხვ.) რემონტის, ვანახლების და ახალი იარაღების დამზადების დარგში.

6. ტექნიკური და ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის დასათესად განკუთვნილ ფართობებზე უზრუნველყოფილ იქნას ღრმა ხვნა ადრეულ ვადებში.

7. სსრ კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის რაიონებში უზრუნველყოფილ იქნას მარცვლეული კულტურების თესვა მწკრივად მთესი მანქანებით შესაძლო ადრეულ ვადებში, დაუყოვნებლივ — ნიადაგის როგორც მზრალად სახნავად, ისე საგაზაფხულო ხვნისათვის მომზადებისთანავე.

ციმბირის, ურალის ნახევრადგვალვიან რაიონებში და ყაზახეთის სს რესპუბლიკის ჩრდილოეთ ოლქებში მიღებულ იქნას ყველა ზომა იმისათვის, რომ აპრილში შენარჩუნებულ იქნას ტენი მზრალად ხნულში, რაც შეიძლება უფრო მეტი დაიხნას და დაფარცხოს დასათესი ფართობები, შენარჩუნებულ იქნას ტენი იმ ნაკვეთებზე, რომლებიც მაისში დაიხვნება, ხოლო საგაზაფხულო ხორბლის თესვა დაიწყოს აპრილის უკანასკნელი რიცხვებიდან იმ ვარაუდით, რომ იგი თითოეულ მეურნეობაში დამთავრდეს 15-20 მაისისათვის. შვრია ამ რაიონებში დაითესოს მაისის მეორე დეკადიდან.

დაევალოს ყაზახეთის სს რესპუბლიკის, ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოებს, ციმბირისა და ურალის ოლქებისა და მხარეების საოლქო და სამხარეო აღმასკომებს ადგილობრივი გამოცდილების გათვალისწინების მიხედვით მოახდინონ თესვის დაწყების ვადების დიფერენცირება თითოეული რაიონისათვის.

8. დაევალოს მტს-ების დირექტორებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს მთლიანად გამოიყენონ თესვაზე მტს-ებისა და კოლმეურნეობების ყველა არსებული მწკრივად მთესავი მანქანა. იმ შემთხვევაში, როცა მტს-ები თავს ვერ ართმევენ სამუშაოს და აჭიანურებენ თესვას, რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს თესვის დასაჩქარებლად გამოიყენონ ტრაქტორით თესვისათვის გამოყოფილ ფართობებზე ცხენით მომუშავე სათესი მანქანები.

9. დაწესდეს სასტიკი კონტროლი გამოთესვის ნორმებზე და სამუშაოთა ხარისხზე, ამასთან პასუხისგებაში იქნან მიცემული შემცირებული ნორმებით თესვის დაშვებაში და თესლის ცუდად ჩათესვაში დამნაშავენი.

10. რჩევა მიეცეთ სსრ კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის კოლმეურნეობებს გააფართოონ ქერის, როგორც გვალვიანი რაიონების პირობებში ყველაზე უფრო მოსავლიანი კულტურის თესვა, შვრიის ნათესების ერთგვარი შემცირების ხარჯზე.

11. დიდი მნიშვნელობის გამო, რაც გაზაფხულის პერიოდში საშემოდგომო კულტურების თავის დროზე და კარგად მოვლას აქვს, დაევალოს ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) მოაწყონ გულმოდგინე მეთვალყურეობა საშემოდგომო კულტურების ნათესის მდგომარეობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ნათესს დალპობის საფრთხე ემუქრება, უზრუნველჰყონ წყლის თავის დროზე გადაგდება იმ ნაკვეთებიდან, რომლებსაც ეს საფრთხე მოელის;

ბ) დაფარცხონ ყველა საშემოდგომო კულტურის ნათესი, გარდა ამოჩრილი ნათესისა და მსუბუქ ნიადაგში ნათესისა;

გ) იმ ფართობებზე, სადაც საშემოდგომო ნათესის აღმონაცენი ამოჩრილია, დატკეპნონ ეს აღმონაცენი;

დ) ვაანყოვრონ საშემოდგომო ნათესი ადგილობრივი სასუქებით (ფრინველის ნაკელით, ნაკელის წვენით, ნაცრით, მპალათი და სხვ.), რაც შეიძლება ადრეულ ვადებში, პირველ რიგში სათესლეების ნაკვეთებზე, საშემოდგომო ხორბლის ნათესზე და ჭვავის გამეჩხერებულ ნათესზე;

ე) ჩაატარონ საშემოდგომო კულტურების ადრეული საგაზაფხულო გამარგვლა, პირველ რიგში ხორბლისა და ჭვავის გამეჩხერებული ნათესისა;

ვ) საშემოდგომო კულტურების მოვლის ღონისძიებანი შეტანილ იქნას კოლმეურნეობათა საგაზაფხულო თესვის სამუშაო გეგმებში.

12. დაწესდეს, რომ საშემოდგომო კულტურების დაღუპვის შემთხვევაში გაზაფხულზე მათი ხელახლად თესვა ხდება საგაზაფხულო კულტურების თესვის დაწესებული გეგმის გარეშე.

დაევალოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ ზომები დაღუპულ საშემოდგომო კულტურათა თავის დროზე ხელახლად დათესვისათვის.

13. მიღებულ იქნას მხედველობაში იმ კოლმეურნეობათა თხოვნა, რომელთაც სურთ გააფართოონ თავიანთი ნათესი მეზობელი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოუყენებელი სახნავი მიწების დამუშავებით, და მიეცეთ ომიანობის დროის ვადით საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს, სამხარეო აღმასრულებელ კომიტეტებს, რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს უფლება—გადასცენ ხოლმე ცალკეულ კოლმეურნეობებს დასამუშავებლად და დასათესად მეზობელი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოუყენებელი სახნავი მიწები ამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თანხმობით. ნათესი ფართობიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულება დაეკისროთ იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც ამ ფართობებზე სთესავენ.

III. დასარევლიანებული მიწების ნაცვლად ნასვენი და ნაჩხატი მიწების გამოყენებისა და სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში ნათესთა სწორად განლაგების შესახებ

1. დაევალოს საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს, სამხარეო აღმასრულებელ კომიტეტებს, პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტებს მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე გაერკვნენ რაიონებისა და საბჭოთა მეურნეობების, ხოლო რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები და პარტიის რაიონული კომიტეტები — თითოეული კოლმეურნეობის კულტურების მონაცვლეობაში მინდვრებზე და 1943 წელს მიაღწიონ საგაზაფხულო და საშემოდგომო ნათესების ისეთ განლაგებას, რომ გამორიცხულ იქნას მარცვლეული კულტურების თესვა მარცვლეულის ხაზით ზედიზედ ოთხი-ხუთი და მეტი წლით, უზრუნველჰყონ საგაზაფხულო ხორბლის თესვა საუკეთესოდ გაპატივებულ წინა კულტურებზე და ყველაზე უფრო დასარევლიანებული მიწების დატოვება საანეულოდ და მრავალი წლით დასასვენებლად.

2. წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა გამგეობებს და იმ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, რომელთაც ნასვენი და ნაჩხატი მიწები აქვთ, გამოიყენონ ეს მიწები საგაზაფხულო და საშემოდგომო კულტურების დასათესად 1943 წლის გაზაფხულიდან მოკიდებული, ამასთან დატოვებულ იქნას ყველაზე უფრო მეტად ნახნავი და გარეული შვრიით, ქონდარა ხორბლით და ფესურიანი სარეველებით დასარევლიანებული მიწების ნაწილი ნასვენად და ნაჩხატად.

3. დაევალოს საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს, სამხარეო აღმასრულებელ კომიტეტებს, პარტიის საოლქო კომიტეტებსა და სამხარეო კომიტეტებს გაითვალისწინონ რაიონებში, მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული ტრაქტორების ძალა და ცოცხალი გამწევი ძალა და მიმდინარე წლის 10 აპრილამდე განსაზღვრონ რაიონებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით, ხოლო რაიონულმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა და პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა დაადგინონ კოლმეურნეობათა მიხედვით ოდენობა ნასვენი და ნაჩხატი მიწებისა, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას დასამუშავებლად და რომლებზეც უნდა დაითესოს საგაზაფხულო და საშემოდგომო კულტურები 1943 წელს და ცალკე 1944 წელს, აგრეთვე განსაზღვრონ რაიონების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიხედვით რაოდენობა მეტად ნახნავი და ყველაზე უფრო დასარევლიანებული მიწებისა, რომლებიც დატოვებულ უნდა იქნას ნასვენად და ნაჩხატად.

4. დაევალოს მტს-ების დირექტორებს კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებათა დადების დროს შეიტანონ მტს-ების სატრაქტორო სამუშაოთა გეგმაში და უზრუნველჰყონ ნასვენი და ნაჩხატი მიწების დამუშავება ტრაქტორებით ოლქებსა და მხარეებში დადგენილი გეგმების შესაბამისად.

5. დაწესდეს, რომ მტს-ების დირექტორებს, რაამიწგანების გამგეებს, რაამიწგანების მთავარ აგრონომებს, მტს-ების უფროსს და საუბნო აგრონომებს ნასვენი და ნაჩხატი მიწების დამუშავების და ამ მიწებზე 1943 წელს საგაზაფხულო და საშემოდგომო კულტურების დათესვის დაწესებული გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის და ამასთან მუშაობის კარგი ხარისხისათვის ეძლევათ პრემიები სსრ კავშირის მიწსახკომისაგან ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

6. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, ალტაისა და კრასნოიარსკის სამხარეო აღმასკომებს, კემეროვოს, ნოვოსიბირსკის, ომსკის, კურგანის, ჩელიაბინსკის საოლქო აღმასკომებს და ყაზახეთის სს რესპუბლიკის ჩრდილოაღმოსავლეთ ოლქების საოლქო აღმასკომებს მოიზიდონ აგრონომები 1 აპრილიდან 10 მაისამდე კოლმეურნეობათათვის დახმარების გასაწევად და კოლმეურნეობათა მინდვრებში 1943 წელს საგაზაფხულო და საშემოდგომო კულტურების დათესვისთვის კულტურების სწორი განლაგების დასაწესებლად და თითოეულ მათგანს მიამაგრონ 4-6 კოლმეურნეობა.

7. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, პარტიის საოლქო კომიტეტებსა და სამხარეო კომიტეტებს მიიღონ ზომები იმისათვის, რომ 1943 წელს მინდვრებში კულტურების განლაგებისას არ დაუშვან თესლბრუნვის მიხედვით კულტურების დაწესებული მონაცვლეობის დარღვევა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნასვენი და ნაჩხატი მიწების არსებობისას, სადაც უკვე არის მიზომილი თესლბრუნვა, ნება დაერთოთ დამატებით მიიზომონ 2-3 მინდორი იმისათვის, რომ თესლბრუნვაში იქონიონ ნასვენი ნაკვეთი.

8. დაევალოს საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, რაიაღმასკომებს, პარტიის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და რაიონულ კომიტეტებს დაუწესონ რაიონებსა და კოლმეურნეობებს დავალება სათესი ფართობის ხაზით იმის შესაბამისად, თუ რამდენია შრომისუნარიანი მოსახლეობა და გამწევი ძალა და როგორია მეცხოველეობის განვითარების გეგმა, აგრეთვე შემოღებული თესლბრუნვის გათვალისწინებით, ამასთან აუცილებელ შემთხვევებში დაუშვან თესვის დავალებათა შემცირება იმ ცალკეული რაიონებისა და კოლმეურნეობებისათვის, რომლებსაც მეტისმეტი მაღალი დატვირთვა აქვთ შრომისუნარიანი კოლმეურნეებისა და გამწევი ძალის მხრივ, მაგრამ იმ ვარაუდით, რომ მთლიანად აღებულ ოლქსა და მხარეში მთელი ნათესი ფართობის ოდენობა შენარჩუნებულ იქნას თესვის იმ გეგმის დონეზე, რაც დაწესებულია 1943 წლისათვის.

9. წინადადება მიეცეს საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, პარტიის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს—დაუწესონ რაიონებსა და კოლმეურნეობებს გეგმა წიწმატასლის ნათესისა, ხოლო გვალვიან და ნახევრადგვალვიან რაიონებში ქერის ნათესის გაფართოებისა, როგორც ყველაზე ადრეული და მოსავლიანი კულტურებისა. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დასთესონ ორი ჯიშის საგაზაფხულო ხორბალი—მომწიფების უფრო ადრეული და უფრო საგვიანო ვადებისა.

10. იმისათვის, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ იქნას დაშვებული იმ მინდვრების დასარევლიანება, რაც მდებარეობს დასარევლიანებული ნაკვეთების გვერდით, რომლებიც მრავალწლიან ნასვენად და ნაჩხატად რჩება, დაეკალოთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს—ჩაატარონ ამ მინდვრებში სარეველების სავალდებულო მოცელვა მათ ყვავილობამდე.

11. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, ალტაისა და კრასნოიარსკის სამხარეო აღმასკომებს, კემეროვოს, ნოვოსიბირსკის, ომსკის, კურგანისა და ჩელიაბინსკის საოლქო აღმასკომებს და ყაზახეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 1943 წლის 10 აპრილამდე დაამტკიცონ კოლმეურნეობებში 1943 წლისათვის თესლბრუნვის შემოღების გეგმა იმის გათვალისწინებით, თუ რამდენია ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში მიწათმომწყობთა კადრები და გეგმიანი მიწათმოწყობის მასალები.

12. დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს დაამთავროს თესლბრუნვის შემოღება აღმოსავლეთის რაიონების ყველა საბჭოთა მეურნეობაში 1943-1944 წლების განმავლობაში, ამასთან სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის სისტემაში მყოფი მიწათმომწყობნი ამ ორი წლის განმავლობაში ამუშაოს სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონების საბჭოთა მეურნეობებში თესლბრუნვის შემოღებაზე.

13. იმის გამო, რომ დიდძალი ნაჩხატი და ნასვენი მიწა არსებობს სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონების ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, სადაც თესლბრუნვა ჯერ კიდევ არ არის შემოღებული, წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მიწსახკომსა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს დაიჩქაროს თესლბრუნვის შემოღება ასეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ამასთან გამოიყენონ ნასვენი და ნაჩხატი მიწები თესლბრუნვაში კულტურების სწორი განლაგების დასაწესებლად.

* * *

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს აუცილებლად მიაჩნიათ გააფრთხილონ ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარებაში კონკრეტული პირობებისა და ადგილობრივი გამოცდილების, აგრეთვე აგრონომიული პერსონალის მითითებათა უგულებელყოფის მავნე პრაქტიკისაგან, რასაც ადგილი ჰქონდა 1942 წელს, და მიაქცევენ ყურადღებას იმას, რომ ომიანობის პირობებში განსაკუთრებით იზრდება მნიშვნელობა კოლმეურნეთა და აგრონომიულ მუშაკთა ინიციატივისა და პასუხისმგებლობისა სწორ აგროტექნიკურ ღონისძიებათა და ხერხთა არჩევასა და გატარებაში, რომლებიც უზრუნველჰყოფენ თითოეული კოლმეურნეობის კონკრეტულ პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ყველაზე მეტი საერთო მოსავლის მიღებას.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

19 მარტის დილის ცნობა

18 მარტის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური **იზდეშკოვო**, ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და კიდევ რამდენიმე დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს. ნ შენაერთის ნაწილებმა შეტევა განავითარეს დნეპრის დასავლეთ ნაპირზე, გერმანელთა ქვეითი ჯარის კონტრიერიში მოიგერიეს, მოწინააღმდეგის 300-მდე ჰიტლერელი გაელიტეს.

* * *

ჩუგუევის რაიონში გრძელდებოდა გაფთრებული ბრძოლები. მოწინააღმდეგემ ქვეითი ჯარისა და ტანკების ახალი ძალები გადმოიყვანა და იერიშს მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. ნ ნაწილის მებრძოლებმა, რომელნიც ჰიტლერელთა იერიშებს იგერიებდნენ, გერმანელთა 5 ტანკი დააზიანეს და 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაელიტეს. ბრძოლის შედეგად მოწინააღმდეგის ტანკებმა მარტყრთ უბანზე შესძლეს რამდენადმე შეეღწიოვებინათ ჩვენი ქვეგანაყოფები.

ჩვენნა ავიაციამ მოსპო ან დააზიანა მოწინააღმდეგის 100-მდე ავტომანქანა ქვეით ჯარიანად და ტვირთიანად და საპაერო ბრძოლაში ჩამოაგდო გერმანელთა 3 თითმფრინავი.

* * *

ილმენის ტბის სამხრეთით ჩვენმა ნაწილებმა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა სძლიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტებისათვის ბრძოლებში გერმანელებმა 800-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 5 ტანკი, 10 ქვემეხი, 22 ტყვიამფრქვევი, სამაბრი მასალის საწყობი და საინჟინრო ქონების საწყობი.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი. გერმანელთა ერთი თვითმფრინავის ეკიპაჟმა, რომელიც პარაშუტებით გადმოხტა, გაქცევა სცადა, მაგრამ კოლმეურნეებმა შეიპყრეს და საბჭოთა ნაწილის შტაბში მოიყვანეს.

* * *

ჩერნიავკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში ოკუპანტებმა ბარიკადებზე 12 მარტს დაიგეს საფანელებიან ბოსტს ტერმელთა 17 ადამიანქანა. საბჭოთა პატრიოტებმა გაელიტეს 80 ჰიტლერელი და ხელთ იგდეს 5 ტყვიამფრქვევი, 1 მინომეტი, ათეული ავტომატი და შაშხანა, 1 ნოსტალგრატი და 8.000 ვაზნა.

* * *

ქვემოთ ვაქვეყნებთ აქტს გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ კურსკის ოლქის სოფელ კოზლიაში ჩადენილი მხეცობის შესახებ: „გერმანელმა ოკუპანტებმა ყველა კოლმეურნე გაძარცვეს, მშივრები და ტიტველ-შიშველნი დასტოვეს. უკანდახევის ცოტა ხნით ადრე, კვირადღეს, ჰიტლერელებმა 42 კოლმეურნე გარეკეს კოზლია-ლგოვის გზის გასაწმენდად. საღამოზე, მუშაობის დამთავრების შემდეგ, კოლმეურნეები შინ კი არ გაუშვეს, არამედ გაძლიერებული ბადრაგით წაიყვანეს სოფელ პოპოვი იარში. იქ ფაშისტი ბანდიტები დიდხანს იგდებდნენ მათ აბუჩად, ხოლო შემდეგ დახვრიტეს, გვამები ერთ ადგილს დაჰყარეს გრაოვად და თოვლი მიაყარეს. გერმანელების განდევნის შემდეგ გვამები ამოღებულ იქნა; ყოველ მათგანს საშინელი წვალებისა და წამების კვალი აჩნევია. კოლმეურნე სიმონ სემიონოვიჩ ნიშეტით აქვს დაჩხვლეტილი მარჯვენა ხელი და გვერდი, ტყვიით არის დაჭრილი მხარსა და თავში; კოლმეურნე პავლე ტეტერკინს ფაშისტებმა პირი გაუხლიჩეს და მკერდი დაუცხრილეს ავტომატის ჯერით; კოლმეურნე ივანე ლიხოვს მუცელი დაჭრილი აქვს დანით, მარკელინა ხელზე მოჭრილი აქვს სამი თითი; პეტრე ჩკალოვს მთელი ტანი დასერილი აქვს და ტყვიით არის დაჭრილი თავში.

ჰიტლერელთა ეს საზიზღარი ბოროტმოქმედება დავიწყებული არ იქნება. ჩვენს საბჭოთა სახლში შემოჭრილი ყველა გერმანელი კაცობრიობის მტერი დასჯილი იქნება. ორფეხა ფაშისტ მხეცებს ადგილი არა აქვთ დედამიწაზე“.

აქტს ხელს აწერენ ნაწამებთა უახლოესი ნათესავები და ოჯახის წევრები: მიხეილ ტეტერკინი, ეგორ ლიხოვი, ფეონა მამონტოვა, ტატიანა სკრიპკინა, დარია კარმანოვა და სხვანი.

19 მარტის საღამოს ცნობა

19 მარტის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებით.

* * *

18 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 10 ტანკი, 70-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაანუმეს საველე და საზენიტო არტილერიის 15 ბატარეა და ააფეთქეს მოწინააღმდეგის 5 საწყობი საომარ მასალიანად.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ჩვენს ნაწილებთან ბრძოლებში მოწინააღმდეგის დიდი ზარალი მოსდის. ტყვედ წამოყვანილმა გერმანელმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა განაცხადეს, რომ გერმანიის 185-ე ქვეითმა პოლკმა უკანასკნელ დღეებში პირადი შემადგენლობის სამი მეოთხედი დაჰკარგა. „ზდე